ქალაქ ქუთაისში, ბუხაიძის ქუჩა N17 საცხოვრებელი სახლის
N3 ბინაზე, მოქალაქე ნადია ნადარეიშვილისათვის საკუთრების
უფლების მინიჭებისა და მოწმობის გაცემის შესახებ

ქალაქ ქუთაისის მერიაში განხილული იქნა მოქალაქე ნადია ნადარეიშვილის წარმომადგენლის ნინო ცერცვაძის განცხადება /2010 წლის 27.12 N1710/, რითაც ითხოვს ბინაზე /მდებარე ქალაქ ქუთაისში, ბუხაიძის ქუჩა N17 საცხოვრებელი სახლის N3 ბინა/, საკუთრების უფლების მოწმობის გაცემას.

წარმოდგენილი მასალების, „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“, საქართველოს ორგანული კანონის 39–ე მუხლის მე–3 პუნქტის „ო“ ქვეპუნქტის, $65^2$ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და „კანონიერი მოსარგებლეებისათვის გადასაცემი არაპრივატიზებული საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი /იზოლირებული და არაიზოლირებული/ ფართობის ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოების მიერ კანონიერი მოსარგებლეებისათვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის წესის დამტკიცების შესახებ“, საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 29 იანვრის N73 ბრძანებულების თანახმად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. ქალაქ ქუთაისში, ბუხაიძის ქუჩა N17 საცხოვრებელი სახლის N3 ბინაზე, საკუთრების უფლება მიენიჭოს მოქალაქე ნადია ნადარეიშვილს.
2. ქალაქ ქუთაისის მერიის საბინაო ინფრასტრუქტურის მართვისა და განვითარების საქალაქო სამსახურმა /ნ.ჩოგოვაძე/, ქალაქ ქუთაისში, ბუხაიძის ქუჩა N17 საცხოვრებელი სახლის N3 ბინაზე /საერთო ფართობი 59,99 კვ.მ, საცხოვრებელი ფართობი 35,26 კვ.მ, დამხმარე ფართობი 24,73 კვ.მ./, მოქალაქე ნადია ნადარეიშვილის სახელზე გასცეს საკუთრების უფლების მოწმობა.
3. ბრძანების შესრულების კონტროლს ვივალებ პირადად.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, ქ.ქუთაისის საკრებულოსა /რუსთაველის გამზირი N3/ და ქუთაისის საქალაქო სასამართლოში /ვიქტორ კუპრაძის ქუჩა N11/, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.
5. ბრძანება ძალაში შედის კანონით დადგენილი წესით.

ქ.ქუთაისის მერის მოადგილე,
მერის მოვალეობის შემსრულებელი                    დ.ანდღულაძე